

დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით N04-66

ცვლილება:

2017 წლის 4 სექტემბრის ბრძანება N04-70

2017 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N04-81

2017 წლის ბრძანება N04-100

2018 წლის 5 ივნისის ბრძანება N04-47

ელექტროობის პროფესიული პროგრამის დანართი N2

2018 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N04-75 დანართი N2

2018 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N04-84 დანართი N4

2018 წლის 13 ნოემბერი N04-96 დანართი N9

2018 წლის 22 ნოემბერი N04-104 დანართი N9

2019 წლის 16 იანვარი N04-07 დანართი N9

2019 წლის 27 თებერვალი N04 – 19 დანართი N1

2019 წლის 14 მაისი N04-49 დანართი N1

2019 წლის 18 ივლისი N04-74 დანართი N1

2019 წლის 03 სექტემბერი N04-85 დანართი N1

2019 წლის 02 დეკემბერი N04-143 დანართი N1

N04-18 (05.02.2020) დანართი N1

N04-26 (13.02.2020) დანართი N2

N 04-37 (09/03/2020) დანართი N 2

N04-128 05.08.2020 დანართი N 2

ცვლილება 02-144 15.10.2020

ცვლილება 04-239 18/12/2020

ცვლილება 04-11 01.03.2021

ცვლილება 04-137 04/11/2021 დანართი 2

ცვლილება 04-04 18.01.2022

ცვლილება 04-30 28.02.2022



სსიპ ილია წინამძღვრის სახელობის კოლეჯი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ელექტრობა

საკონტაქტო ინფორმაცია:

▲ მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

☎ 577 21 50 90 |

✉ tmkcollege@tmk.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი-მამუკა მამაუკაშვილი; თენგიზ ბულაშვილი

მცხეთა

2017

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: ელექტრობა/ Electricity
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ელექტრობა: 07313-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები :

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში / Basic Vocational Qualification in Electricity

4. მიზანი:

ელექტრობის პროფესიული პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტრობაში.

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომონოწობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას“.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:

საბაზო განათლება;

6. დასაქმების შესაძლებლობები:

ელექტრობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერჯიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413.

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი.

| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
|---|--------------------|-----------------------------|---------|
| | | | |

| | | | |
|----|--|---|-----------|
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში | - | 2 |
| 2 | პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | | 1 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | | 3 |
| 4 | საინჟინრო ხაზვა | | 4 |
| 5 | ელექტრული და ელექტრონული პრინციპები | | 4 |
| 6 | კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში | | 4 |
| 7 | უცხოური ენა ინგლისური ენა | - | 4 |
| 8 | მეწარმეობა 1 | - | 2 |
| 9 | ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტრობაში | - | 4 |
| 10 | ელექტრული ტექნოლოგია | - | 4 |
| 11 | ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება | - | 4 |
| 12 | ელექტრული მონტაჟი | - | 4 |
| 13 | მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის | - | 4 |
| 14 | საინჟინრო პროექტი | | 8 |
| | ჯამი | | 52 |

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტრობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა შემუშავებულია არაინტეგრირებული მიდგომით, რომელიც ხორციელდება მოდულური მიდგომით.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

ჩარჩო დოკუმენტი - ელექტრონობა

14. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები:

სს ენერგო - პრო ჯორჯია

15. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის საფუძველზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

16. პროგრამის განხორციელების ადგილი:

მცხეთის რ-ნი სოფ. წინამძღვრიანთკარი, ძირითადი სასწავლო კორპუსი

დაბა სტეფანწმინდის დამატებითი სასწავლო ფართი

17. პროგრამის მოცულობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 52 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 67 კრედიტი

18. პროგრამის ხანგძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 37 კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 47 კვირა

19. პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესახებ

ელექტრონობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა თითოეული მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში მითითებულია პროგრამის დანართ N19-ში.

პროგრამის დისტანციურ რეჟიმში წარმართვის შემთხვევაში პროგრამა განხორციელდება დანართ 19-ში მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად.

პროგრამის დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2 - ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

დანართი 3 – პროგრამის განმახორციელებლები

დანართი 4 – პროგრამის მატერიალური რესურსი

დანართი 5 – პროგრამის ბიუჯეტი

დანართი 6 – მოდული საინჟინრო ხაზვა

დანართი 7 – მოდული ელექტრული და ელექტრონული პრინციპები

დანართი 8 – მოდული კომუნიკაცია ელექტრონობის სფეროში

დანართი 9 – მოდული უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 10 – მოდული მეწარმეობა 1

დანართი 11 – მოდული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტრონობაში

დანართი 12 – მოდული ელექტრული ტექნოლოგია

დანართი 13 – მოდული ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება

დანართი 14 – მოდული ელექტრული მონტაჟი

დანართი 15 – მოდული მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის

დანართი 16 – მოდული საინჟინრო პროექტი

დანართი 17 – მოდული ქართული ენა A2

დანართი 18 – მოდული გაცნობითი პრაქტიკა ელექტრონობაში

დანართი 19-პროგრამის დისტანციურად განხორციელების საკითხები

დანართი 20 - პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები

დანართი 21 – მოდული ინფორმაციული წიგნიერება 1